44	380265,2	4639271	129	383364,8	4635819	214	384809,6	4634236	299	379081,2	4631992	384	381458,8	4634208
45	380346,5	4639213	130	383280,1	4635863	215	384899,4	4634208	300	378982	4631988	385	381558,4	4634211
46	380429,4	4639158	131	383234,4	4635950	216	384903	4634108	301	378890,1	4631962	386	381649,2	4634198
47	380509,1	4639099	132	383234,4	4636050	217	384908,5	4634008	302	378800	4631999	387	381741,8	4634205
48	380603,9	4639068	133	383216,5	4636148	218	384922,6	4633910	303	378716,3	4632053	388	381828,3	4634157
49	380698,8	4639079	134	383202,7	4636247	219	384938,6	4633812	304	378653	4632128	389	381918,3	4634117
50	380773,8	4639138	135	383185,5	4636345	220	384944,6	4633713	305	378583,8	4632199	390	382016,2	4634104
51	380805,6	4639227	136	383166,3	4636443	221	384980,1	4633622	306	378526	4632276	391	382066,6	4634180
52	380803,1	4639327	137	383114,3	4636529	222	385046,8	4633548	307	378450,1	4632341	392	382087,9	4634270
53	380793,8	4639427	138	383070,5	4636618	223	385113,7	4633474	308	378376,1	4632408	393	382151,4	4634239
54	380779	4639526	139	383006,5	4636695	224	385129	4633380	309	378282,5	4632440	394	382201,8	4634153
55	380761,9	4639624	140	382949,5	4636777	225	385095,1	4633286	310	378188,8	4632473	395	382231,3	4634059
56	380747,6	4639723	141	382890,8	4636857	226	385047,7	4633199	311	378094,4	4632504	396	382220,9	4633961
57	380737,3	4639823	142	382804,9	4636859	227	385017,7	4633106	312	378006,4	4632550	397	382140,2	4633905
58	380709,9	4639919	143	382712,8	4636880	228	384923,8	4633078	313	377915,1	4632589	398	382239	4633896
59	380698,3	4640017	144	382625,3	4636913	229	384828	4633053	314	377831,1	4632638	399	382337,9	4633882
60	380648,4	4640098	145	382525,6	4636911	230	384734,3	4633027	315	377751,7	4632698	400	382433,4	4633853



61	380571,6	4640161	146	382429,3	4636885	231	384664,2	4632956	316	377665,6	4632747	401	382531	4633832
62	380484,3	4640209	147	382331,6	4636876	232	384576,8	4632911	317	377714,5	4632816	402	382624,4	4633797
63	380390,4	4640243	148	382235,9	4636905	233	384489,2	4632864	318	377765,8	4632901	403	382715	4633821
64	380433,4	4640286	149	382141,6	4636938	234	384415,5	4632799	319	377828,2	4632979	404	382783,9	4633886
65	380521,4	4640333	150	382145,4	4637009	235	384324,6	4632762	320	377894,6	4633054	405	382818,5	4633971
66	380604,6	4640389	151	382182,2	4637101	236	384254	4632692	321	377975,4	4633112	406	382914,6	4633972
67	380682,5	4640451	152	382193,7	4637198	237	384180,7	4632624	322	378060,4	4633164	407	382961,7	4633888
68	380756	4640519	153	382237,6	4637288	238	384081,5	4632624	323	378148,4	4633212	408	383033,1	4633908
69	380825,6	4640590	154	382289,3	4637373	239	383984	4632645	324	378245,8	4633222	409	383122,2	4633949
70	380849,2	4640687	155	382342	4637458	240	383886,5	4632665	325	378341	4633197	410	383208,9	4633997
71	380878,3	4640783	156	382397,9	4637541	241	383788,8	4632650	326	378434,8	4633166	411	383298,2	4634042
72	380917	4640875	157	382452,6	4637625	242	383705,6	4632597	327	378533,2	4633149	412	383363	4634116
73	380953,3	4640968	158	382508,1	4637708	243	383631	4632537	328	378633	4633149	413	383404,3	4634207
74	380988,7	4641062	159	382549,2	4637799	244	383563,7	4632465	329	378722,7	4633188	414	383416,2	4634305
75	381021	4641156	160	382583,1	4637893	245	383469,8	4632433	330	378815,4	4633221	415	383413,5	4634405
76	381056,6	4641250	161	382607,4	4637990	246	383374,6	4632406	331	378904,9	4633256	416	383411,6	4634505
77	381075,2	4641347	162	382647,2	4638081	247	383290,6	4632353	332	378955,4	4633337	417	383418,8	4634604
78	381091,2	4641446	163	382666,1	4638177	248	383217,5	4632288	333	379037,5	4633304	418	383473,6	4634687
79	381179,9	4641454	164	382763,1	4638158	249	383174,3	4632199	334	379123,8	4633254	419	383514	4634776
80	381278,9	4641439	165	382861,9	4638149	250	383156,1	4632104	335	379222,5	4633251	420	383532,4	4634874
81	381373,6	4641413	166	382957	4638119	251	383061,2	4632111	336	379320,5	4633235	421	383526,7	4634973
82	381464,9	4641376	167	383048,1	4638078	252	382965,5	4632085	337	379414,1	4633201	341	379732,5	4632966
83	381562,4	4641364	168	383143,6	4638057	253	382889,2	4632022	338	379499,6	4633150	342	379806,1	4632899
84	381633,1	4641296	169	383237,4	4638034	254	382791,3	4632007	339	379576,8	4633087	343	379895,8	4632855
85	381715,3	4641240	170	383333	4638016	255	382701,3	4631968	340	379646,8	4633017	344	379906,1	4632758

4. ნების აღკვეთილის ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

- ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;
- ბ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოებისა;
- გ) საკადასტრო სამუშაოების წარმოებისა;
- დ) საგანმანათლებლო საქმიანობისა;



ე) ეკოტურისტული საქმიანობისა;

ვ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილებისა;

ზ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარებისა (დაცვის ინფრასტრუქტურისა და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა).

5. ნემვის აღკვეთილის ტრადიციული გამოყენების ზონის ფართობი შეადგენს 7 365,5 ჰა-ს და მოიცავს ნემვის აღკვეთილის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც არაა განსაზღვრული ამ მუხლის მე-3 პუნქტით.

6. ნემვის აღკვეთილის ტრადიციული გამოყენების ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობისა;

გ) ეკოტურიზმისა და ეკოგანათლებისა;

დ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებისა;

ე) ადგილობრივი მოსახლეობისათვის დროებითი რეგულირების წესით განსაზღვრული რესურსებით სარგებლობის დროს, ტურისტების გადაადგილებისა, გამყოლის/გიდის თანხლებით, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ავტო, მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;

ვ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოებისა;

ზ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელებისა;

თ) ტრადიციული გამოყენების ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებისა;

ი) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილებისა;

კ) ვიზიტორთა ყოფნისა და გადაადგილებისა;

ლ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით, გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 10 მ³-მდე საშუალო მერქანი), ყოველწლიურად ადგილობრივი მოსახლეობისათვის 800 მ³ I ხარისხის მერქნით სარგებლობისა, მოვებისა (ტყით დაუფარავ ფართობებზე), საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობისა და 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, 27³ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა;

მ) „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136



დადგენილების 2¹ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიწისქვეშა წყლებით სარგებლობისა;

ნ) საადრიცხვო სამუშაოების განხორციელებისა;

ო) ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა;

პ) ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით (გარდა სოჭის გირჩით) სარგებლობისა;

ჟ) ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა;

რ) ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით სარგებლობისა;

ს) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისა (კომპიურების, პირსების მოწყობა და სხვა);

ტ) „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის 3¹ პუნქტით განსაზღვრული რეკრეაციული თევზჭერისა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

უ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.

დანართი 22

ტექნიკური რეგლამენტი – ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

„ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი“ არის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებამდე და რომელიც არის „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14-მე-18 მუხლებით განსაზღვრულ ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში, ვაშლოვანის ეროვნულ პარკში, ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლში, ტახტი-თეფას ბუნების ძეგლსა და არწივის ხეობის ბუნების ძეგლში დაშვებული საქმიანობის განმსაზღვრელი და სამენეჯმენტო ქმედებებით დაგეგმილი დროებითი სახელმძღვანელო დოკუმენტი.

მუხლი 2. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დროებითი რეგულირების წესის რეგულირების სფერო

1. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი არეგულირებს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების საკითხებს.

2. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფარგლებში მოქცეულ სასაზღვრო ზონასა და ზოლში საქმიანობა ხორციელდება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დადგენილი სასაზღვრო ზონისა და ზოლის რეჟიმის შესაბამისად.

მუხლი 3. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის ძირითადი მიზნებია:



ა) ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ტერიტორიის, ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაციის, მასზე არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვის, ამ რესურსების გამოყენების, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობის განვითარების საკითხების სამართლებრივი მოწესრიგების გზით, უზრუნველყოს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისათვის მართვის მექანიზმის ჩამოყალიბება;

ბ) ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის, ეკოლოგიური განათლებისა და რეკრეაციის სფეროში შესაძლებლობათა ზრდის ხელშეწყობა.

2. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის ძირითადი ამოცანებია:

ა) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად, ხელი შეუწყოს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ტერიტორიის ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული, ბუნებრივი და სახემეცვლილი უბნების დაცვასა და აღდგენას;

ბ) უზრუნველყოს ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით – საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის დაცვა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;

გ) ხელი შეუწყოს ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას დაცულ ტერიტორიებზე;

დ) ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფარგლებში, უზრუნველყოს მიწის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს (მათ შორის, ტყეების) და სხვა ბუნებრივი რესურსების მოვლა, დაცვა, აღდგენა და ამ რესურსებით რაციონალური სარგებლობა, განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტებისა და ძეგლების დაცვა, წყლის ობიექტების ბუნებრივი ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა.

მუხლი 4. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მდებარეობა და საერთო ფართობი

1. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. ისინი გაშლილია ჩრდილოეთიდან გომბორის მთების გაგრძელებაზე მდებარე ყაშების ფერდობებსა და სამხრეთით ივრის პლატოს შორის არსებულ ქვაბულზე.

2. დაცული ტერიტორიები მდებარეობს კახეთის რეგიონის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

3. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების კატეგორიები და ფართობი განსაზღვრულია „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14-მე-18 მუხლებით და მოიცავს დაცული ტერიტორიის შემდეგ კატეგორიებს:

ა) ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი – 9 962 ჰა;

ბ) ვაშლოვანის ეროვნული პარკი – 25 021 ჰა;

გ) ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი – 201 ჰა;

დ) ტახტი-თეფას ბუნების ძეგლი – 10 ჰა,

ე) არწივის ხეობის ბუნების ძეგლი – 98 ჰა.

მუხლი 5. ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის მდებარეობა და დაშვებული საქმიანობა



1. ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორია მოიცავს „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიას.

2. ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიებისა;

ბ) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა (სამეცნიერო და საგანმანათლებლო, იდენტიფიკაციისა და გამრავლების მიზნით, მცირე რაოდენობის საჭერბარიუმო და საკოლექციო მასალის, მცენარეთა ნაწილების, თესლებისა და ბოლქვების, უხერხემლო და მცირე ზომის ხერხემლიანი ცხოველების ამოღება);

გ) საგანმანათლებლო საქმიანობისა;

დ) სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის პერსონალის ავტო, მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;

ე) მონიტორინგის სამუშაოების წარმოებისა (სანიმუშო ფართობების მოწყობა და მუდმივი დაკვირვების წარმოება, ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციების მდგომარეობის შეფასება და დაკვირვება, აღრიცხვა/ინვენტარიზაცია და სხვა);

ვ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარებისა (დაცვის ინფრასტრუქტურისა და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა და სხვა).

მუხლი 6. ვაშლოვანის ეროვნული პარკის მდებარეობა, ზონირება, ზონების ფართობი და დაშვებული საქმიანობები

1. ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორია მოიცავს „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიას.

2. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ზონები:

ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;

ბ) აღდგენის ზონა;

გ) ვიზიტორთა ზონა;

დ) ადმინისტრაციული ზონა;

ე) ტრადიციული გამოყენების ზონა.

3. ვაშლოვანის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის ფართობი შეადგენს 1930 ჰა-ს და მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

ა)

Nº	X	Y	Nº	X	Y	Nº	X	Y	Nº	X	Y	Nº	X	Y
1	633925.2	4559138.67	637212.7	4553637	132	637038.5	4553701	197	635558.6	4556192	262	636906.3	4552869	
2	634022.2	4558164.68	637020.1	4553720	133	637230.4	4553617	198	635492.1	4556213	263	636829	4552889	



3	634383.1	4557588	69	636925.6	4553885	134	637398.1	4553608	199	635455.5	4556379	264	636787.8	4552880
4	635331.8	4556722	70	636728.2	4553991	135	637330.5	4553482	200	635740.9	4556106	265	636763.3	4552915
5	635545.4	4556536	71	636618.3	4554193	136	637449.2	4553366	201	635753.3	4556066	266	636802.9	4552892
6	635443.6	4556314	72	636414.2	4554317	137	637612.4	4553283	202	635907.8	4555985	267	636812.4	4552881
7	635616.6	4556217	73	636317	4554480	138	637715	4553220	203	635955.7	4556002	268	637904.9	4552900
8	635781.3	4556043	74	636354.3	4554534	139	637840.3	4553034	204	637728.1	4552295	269	637907.2	4552923
9	635982	4556002	75	636482.6	4555197	140	637955.8	4553019	205	637714.9	4552288	270	637739.1	4553217
10	636222.9	4555872	76	636456.4	4555089	141	637995.7	4553009	206	637705.6	4552294	271	637755	4553204
11	636377.5	4555725	77	636595.4	4555234	142	637859.2	4552968	207	637710.3	4552320	272	637737.8	4553197
12	636557.3	4555513	78	636853.1	4555173	143	637734.8	4553174	208	637658.7	4552350	273	637609.1	4553153
13	636737	4555374	79	637184.1	4554980	144	637575.4	4553209	209	637639.6	4552370	274	637607.2	4553172
14	636948.7	4555346	80	637011	4555414	145	637495.7	4553361	210	637620.7	4552361	275	637580.8	4553165
15	637065.1	4555344	81	636929.1	4555313	146	637322.8	4553407	211	637561	4552395	276	637608.6	4553243
16	637075.9	4555092	82	636769.3	4555367	147	637428.1	4553558	212	637547.6	4552402	277	637572.6	4553185
17	637162.4	4554932	83	636630.9	4555412	148	637223.3	4553545	213	637547.3	4552445	278	637745.3	4553107
18	636881.5	4555154	84	636511.9	4555592	149	637073.6	4553648	214	637556.9	4552473	279	637763.1	4553110
19	636448.6	4555123	85	636323.4	4555802	150	636990.5	4553830	215	637582.2	4552479	280	637752.8	4553175
20	636484.1	4554970	86	636091.7	4555921	151	636760.1	4553901	216	637603.5	4552485	281	637553.2	4553396
21	636317	4554489	87	635810.3	4556024	152	636653.4	4554109	217	637631.4	4552514	282	637609	4553339
22	636276.9	4554217	88	635629.7	4556219	153	636484.8	4554277	218	637582.3	4552555	283	637551	4553378
23	636205.1	4553903	89	635448.9	4556281	154	636338.6	4554337	219	637550.8	4552545	284	637591.3	4553335
24	635981.5	4553323	90	635528.2	4556508	155	638631.9	4557323	220	637537.8	4552558	285	637336.7	4553349
25	635795.9	4553265	91	635411.8	4556683	156	638402.8	4557406	221	637525.5	4552555	286	637376.9	4553313
26	635663.7	4553132	92	635005.2	4556971	157	638205.8	4557545	222	637522	4552567	287	637353.1	4553357
27	635928.3	4553005	93	633971.6	4559311	158	638012.5	4557689	223	637533.1	4552596	288	637338.6	4553426
28	636291.6	4552929	94	634184.1	4559412	159	637854	4557867	224	637527	4552620	289	637410.1	4553497
29	636654.5	4552952	95	634399	4559522	160	637756.6	4558041	225	637536.2	4552632	290	637411.4	4553515
30	636845.1	4552863	96	634617.5	4559606	161	637562.5	4558187	226	637557.9	4552625	291	637342.8	4553522
31	637042	4552875	97	636387.5	4554301	162	637462.5	4558375	227	637526.5	4552662	292	637445.5	4553573
32	637211.7	4552881	98	636597.7	4554190	163	637307.5	4558564	228	637512.9	4552670	293	637436.1	4553511
33	637363	4552803	99	636708.1	4553988	164	637148.5	4558748	229	637497.3	4552661	294	637300.6	4553600



34	637411.7	4552739	100	636900.4	4553876	165	636995.5	4558901	230	637489.1	4552655	295	637263.5	4553556
35	637565.4	4552655	101	637000.1	4553717	166	636795.2	4558998	231	637474.9	4552669	296	637267.4	4553538
36	637596.7	4552534	102	637190	4553631	167	636582.4	4559112	232	637444	4552683	297	637286.2	4553549
37	637587.4	4552387	103	637345	4553595	168	636354.6	4559195	233	637438.4	4552700	298	637237.7	4553557
38	634692	4559597	104	637320.3	4553505	169	636148.1	4559305	234	637456.2	4552734	299	637242.2	4553600
39	634909.2	4559592	105	637410.2	4553313	170	635918.1	4559363	235	637445.5	4552742	300	637224.7	4553594
40	635097.3	4559468	106	637593.4	4553308	171	635684.6	4559364	236	637450.1	4552779	301	637173.2	4553660
41	635219.9	4559293	107	637661.7	4553198	172	635522.4	4559238	237	637416.2	4552796	302	637171.4	4553641
42	635433.1	4559224	108	637799.3	4553049	173	635285.4	4559230	238	637404.1	4552783	303	637146.2	4553652
43	635599.6	4559333	109	637937.2	4552952	174	635123.7	4559387	239	637397.7	4552761	304	637133.8	4553630
44	635828.4	4559345	110	637849.6	4552206	175	634998.4	4559581	240	637371.6	4552742	305	637145.5	4553614
45	636070.3	4559351	111	637601.1	4552371	176	634776.9	4559560	241	637347.5	4552837	306	637157.4	4553637
46	636267.5	4559219	112	637615.1	4552524	177	634538.8	4559598	242	637330.6	4552839	307	637096.4	4553623
47	636494.4	4559141	113	637570.6	4552639	178	634332.6	4559481	243	637310.3	4552875	308	637106.1	4553638
48	636713.5	4559033	114	637431.1	4552733	179	634123.8	4559361	244	637296.2	4552884	309	636972.4	4553727
49	636904.6	4558904	115	637364.7	4552782	180	633924.5	4559305	245	637286.6	4552871	310	636980.6	4553744
50	637088.7	4558813	116	637223.4	4552866	181	633642.9	4554479	246	637261.2	4552870	311	637012.4	4553834
51	637248.5	4558634	117	637050.8	4552858	182	636328.5	4554419	247	637251.6	4552847	312	636963.3	4553738
52	637392.9	4558434	118	636860.4	4552849	183	636279.4	4554375	248	637239	4552846	313	636962.8	4553753
53	637496.1	4558240	119	636675.6	4552948	184	636281	4554350	249	637210.6	4552901	314	636995.9	4553777
54	637678.8	4558088	120	636520.3	4552987	185	636297.8	4554359	250	637170.6	4552892	315	636990.7	4553805
55	637776.4	4557891	121	636191.9	4552959	186	636323.4	4554364	251	637140.5	4552859	316	636977.2	4553861
56	637936.2	4557737	122	636023.4	4553011	187	636358.4	4554338	252	637122.5	4552857	317	636810.5	4553877
57	638137.3	4557607	123	635777.4	4552997	188	636335.8	4554332	253	637081	4552872	318	636881.8	4553900
58	638324.6	4557451	124	635498	4553060	189	636596.1	4554233	254	637061.2	4552843	319	636833.3	4553897
59	638543.9	4557351	125	636123.5	4553423	190	636648.9	4554049	255	637031.4	4552881	320	636783.5	4553905
60	637931.1	4553012	126	636112.3	4553727	191	636678.6	4554036	256	637008.1	4552875	321	636733.6	4553943
61	637821.8	4553053	127	636335.2	4554488	192	636695.8	4555417	257	636993.4	4552889	322	636671.4	4554079
62	637688.7	4553221	128	636440.4	4554315	193	636838	4555367	258	636959.5	4552867	323	636668.7	4554133
63	637611.3	4553309	129	636638.1	4554176	194	635525	4556614	259	636938.2	4552873	324	636515.7	4554260
64	637426.7	4553354	130	636740.2	4553967	195	635540.4	4556580	260	636920.5	4552864	325	636546.6	4554265



65	637345.3	4553502	131	636949.5	4553874	196	635499.9	4556475	261	636883.6	4552844	326	636585.1	4554219
66	637372.1	4553612												

ბ) წერტილიდან, რომლის კოორდინატებია X637849.6 Y4552206, წერტილამდე, რომლის კოორდინატებია X638039 Y4552357 და წერტილიდან, რომლის კოორდინატია X638773.2 Y4554285, წერტილამდე, რომლის კოორდინატია X638674.7 Y4557303, ბუნების მკაცრი დაცვის ზონის საზღვარი მიუყვება საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

4. ვაშლოვანის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება (სამეცნიერო და საგანმანათლებლო, იდენტიფიკაციისა და გამრავლების მიზნით, მცირე რაოდენობის საჭერბარიუმო და საკოლექციო მასალის, მცენარეთა ნაწილების, თესლებისა და ბოლქვების, უხერხემლო და მცირე ზომის ხერხემლიანი ცხოველების ამოღება);

ბ) მონიტორინგის სამუშაოების ჩატარება (სანიმუშო ფართობების მოწყობა და მუდმივი დაკვირვების წარმოება, ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციების მდგომარეობის შეფასება და დაკვირვება, აღრიცხვა/ინვენტარიზაცია და სხვა);

გ) სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის პერსონალის ავტო, მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

დ) საკადასტრო სამუშაოების ჩატარება;

ე) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (დაცვის ინფრასტრუქტურისა და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა და სხვა).

5. ვაშლოვანის ეროვნული პარკის აღდგენის ზონის ფართობი შეადგენს 448 ჰა-ს და მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y			
1	630713	4554634	27	626971.6	4552700	53	630298.9	4554627	79	627601.8	4553034	105	629535	4553417
2	630806.7	4554424	28	626733.7	4552714	54	630098.9	4554486	80	627693.9	4553219	106	629808.6	4553350
3	630938.1	4554225	29	626691.6	4552886	55	629898.2	4554452	81	627942	4553239	107	630142.3	4553696
4	631064.2	4554188	30	626659.1	4553097	56	628039.6	4554523	82	628221.7	4553368	108	629993.8	4553282
5	631098.9	4553985	31	626699.9	4553343	57	629421.1	4554513	83	628413.4	4553521	109	630306.8	4553704
6	630891.6	4553922	32	626773.5	4553570	58	629174.2	4554540	84	628661.7	4553575	110	630497.5	4554016
7	630643.5	4553944	33	627015.1	4553607	59	628924.5	4554551	85	628855	4553476	111	630552.7	4554014
8	630424.2	4553940	34	627233.7	4553667	60	628675.2	4554569	86	629012.7	4553333	112	630932.4	4553909
9	630352.4	4553748	35	627199.5	4553912	61	628428.3	4554550	87	629203.4	4553354	113	630992.6	4553919



10	630124.6	4553664	36	627247.6	4554123	62	628182.6	4554557	88	629413.8	4553369	114	631134.3	4554022
11	630113.8	4553429	37	627407.4	4554254	63	627943.5	4554513	89	629644.1	4553379	115	631111.6	4554038
12	629936.9	4553281	38	627658.5	4554400	64	627758.1	4554455	90	629867.9	4553294	116	631020.6	4554129
13	629715.8	4553370	39	627874.7	4554511	65	627508.6	4554304	91	630078.9	4553367	117	631015.6	4554183
14	629476.4	4553405	40	628115.4	4554534	66	627355.2	4554193	92	630129.9	4553594	118	630724.6	4554498
15	629228.3	4553343	41	628273.3	4554574	67	627167.7	4554048	93	630283.2	4553701	119	630653.5	4554634
16	629056.9	4553417	42	628519.1	4554573	68	627235.7	4553738	94	630417.8	4553897	120	629754.1	4554510
17	628920.8	4553447	43	627812.6	4554499	69	627205.1	4553599	95	630599.7	4553965	121	630371.4	4554606
18	628784.7	4553521	44	627904.7	4554502	70	626854.1	4553583	96	630820	4553930	122	629975.7	4554415
19	628494.7	4553600	45	629351.5	4554532	71	626721.2	4553412	97	631027.9	4553984	123	630681.2	4553935
20	628325.2	4553480	46	629591.6	4554479	72	626669	4553169	98	631110.2	4554135	124	630920.9	4554290
21	628075.5	4553268	47	629830.8	4554475	73	626631.9	4552925	99	630973.4	4554170	125	631037.5	4554195
22	627830	4553245	48	630064.5	4554426	74	626777.2	4552751	100	630845.1	4554364	126	630664.8	4554667
23	627606.7	4553130	49	630232.1	4554601	75	626899.7	4552704	101	630717.3	4554562	127	630719.4	4554598
24	627574.7	4552975	50	630467.4	4554607	76	627093.3	4552734	102	629108.1	4553449	128	630714.7	4554519
25	627383.1	4552673	51	630685.9	4554670	77	627314.3	4552678	103	629149.5	4553452	129	630754.4	4554478
26	627257.8	4552732	52	630539.4	4554607	78	627569.8	4552852	104	629275.2	4553366			

6. აღდგენის ზონაში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) ვიზიტორთა გადაადგილება;

ბ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება;

გ) მონიტორინგის სამუშაოების ჩატარება (სანიმუშო ფართობების მოწყობა და მუდმივი დაკვირვების წარმოება, ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციების მდგომარეობის შეფასება და დაკვირვება, აღრიცხვა/ინვენტარიზაცია და სხვა);

დ) ეკოსისტემებისა და ბუნებრივი რესურსების აღდგენასთან დაკავშირებული აქტიური მართვის ღონისძიებების (მანიპულაციების) ჩატარება, მათ შორის, სხვადასხვა ინფრასტრუქტურის (ვოლიერები, სანერგეები და სხვა) მოწყობა (ვეტერინარული და ეპიზოოტიური დაავადებების გამორიცხვის მიზნით, იკრძალება ვოლიერების გარშემო შინაური პირუტყვის მოვება 100 მ-ის ზოლში);

ე) მცენარეების აღდგენის მიზნით, გარკვეული რაოდენობის თესლებისა და კალმების შეგროვება;

ვ) სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის პერსონალის ავტო, მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

ზ) საკადასტრო სამუშაოების ჩატარება;

თ) რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული ფიზიკური დაცვის, სამაშველო და სხვა აუცილებელი



ღონისძიებების გატარება;

ო) დაშვებული საქმიანობის ფარგლებში ნებისმიერი სახის მუდმივი ან დროებითი მოწყობილობებისა და ნიშნების სპეციალური უფლების საფუძველზე დადგმა;

კ) უმოტორო ტრანსპორტით (ცხენით, ფეხით და ა.შ.) გადაადგილება;

ლ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (დაცვის ინფრასტრუქტურისა და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა და სხვა);

მ) საქონლის ძოვება და სატრანზიტო გადარეკვა იმ ადგილებში, სადაც არ არის წარმოდგენილი ანთროპოგენური ჩარევით დაზიანებული ტერიტორიები;

ნ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

7. ვაშლოვანის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონის ფართობი შეადგენს 101 ჰა-ს და მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№ X	Y	№ X	Y	№ X	Y	№ X	Y	№ X	Y	
1	638690.2	4554294.25	638163.6	4552525.49	638513.6	4553974.73	614545.5	4566187.97	614751.6	4566622
2	638618.3	4554076.26	638308.4	4552699.50	638285.9	4553878.74	614602	4566156.98	614764.2	4566578
3	638418.2	4553934.27	638176.7	4552910.51	638083.7	4553722.75	614604.5	4566166.99	614731.5	4566659
4	638194.4	4553824.28	638044.9	4553114.52	637985.4	4553213.76	614617.4	4566157.100	614725.9	4566651
5	638036.2	4553637.29	637977.9	4553346.53	638316.9	4552660.77	614616.8	4566225.101	614683.9	4566668
6	637979.8	4553394.30	638020.5	4553592.54	638068	4553073.78	614626.2	4566220.102	614668	4566693
7	638019.7	4553154.31	638156.3	4553796.55	638077.2	4553057.79	614673.8	4566292.103	614659.9	4566688
8	638101.5	4553012.32	638373.3	4553918.56	614357.7	4565923.80	614679	4566283.104	614662.9	4566761
9	638246.2	4552808.33	638586.9	4554040.57	614427.2	4565959.81	614724.2	4566264.105	614672.6	4566759
10	638269.8	4552592.34	638666.7	4554258.58	614459	4565987.82	614720.5	4566275.106	614689.3	4566821
11	638030.9	4552485.35	639515	4559447.59	614423.2	4566008.83	614739.2	4566307.107	614682.7	4566799
12	638626.8	4557576.36	639424.7	4559321.60	614378.3	4566036.84	614745.4	4566290.108	614742.1	4566825
13	638472.2	4557674.37	639222.9	4559175.61	614407.2	4566030.85	614749.6	4566367.109	614722.9	4566832
14	638535.2	4557895.38	639056.6	4559001.62	614464.6	4566023.86	614739.5	4566362.110	614735	4566837
15	638669.4	4558104.39	638854	4558876.63	614430	4566088.87	614723.8	4566380.111	614746	4566838
16	638649.5	4558352.40	638658.1	4558736.64	614390	4566081.88	614733.2	4566384.112	614725.6	4566853
17	638628.2	4558601.41	638639.8	4558492.65	614412.5	4566107.89	614725	4566389.113	614741.5	4566871
18	638726.6	4558818.42	638659.8	4558243.66	614469.1	4566105.90	614766	4566402.114	614730.8	4566873
19	638957.2	4558912.43	638615.4	4558010.67	614436.9	4566112.91	614776.4	4566396.115	614728.3	4566897
20	639107.6	4559094.44	638477.7	4557802.68	614474.5	4566153.92	614765.3	4566390.116	614731.1	4566907



21	639313.7	4559236	45	638489.4	4557541	69	614482.4	4566120	93	614760.3	4566521	117	614690.5	4566917
22	639485.5	4559409	46	638773.2	4554285	70	614484.4	4566172	94	614750.4	4566520	118	614675.7	4566932
23	638022.7	4552424	47	638672.1	4554285	71	614488.5	4566163	95	614774	4566575	119	614669.2	4566925
24	638039	4552357	48	638662.1	4554118	72	614544.7	4566197	96	614761.5	4566623	120	614684.4	4566909

8. ვიზიტორთა ზონაში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) ეკოტურიზმისა და რეკრეაციის მიზნით, ვიზიტორთა კონტროლირებადი დაშვება;

ბ) სათავგადასავლო-რეკრეაციული საქმიანობა (მაღალი გამავლობის ავტომობილებით მოძრაობა, ცხენოსნობა, გასაბერი ტივებითა და ნავეებით დაშვება, სეზონურობისა და კვოტების მკაცრ ჩარჩოებში ანკესისა და სასროლი ბადის გამოყენებით თევზაობა);

გ) ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

დ) ეკოსისტემებისა და ბუნებრივი რესურსების აღდგენასთან დაკავშირებული აქტიური მართვის ღონისძიებების (მანიპულაციების) ჩატარება;

ე) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება;

ვ) მონიტორინგის სამუშაოების ჩატარება (სანიმუშო ფართობების მოწყობა და მუდმივი დაკვირვების წარმოება, ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციების მდგომარეობის შეფასება და დაკვირვება, აღრიცხვა/ინვენტარიზაცია და სხვა);

ზ) საკადასტრო სამუშაოების ჩატარება;

თ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (სახანძრო პირსების მოწყობა, ხანძარსაშიში ტერიტორიების ჩახერგილობისაგან გაწმენდა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა და სხვა);

ი) სამეცნიერო კვლევისთვის საჭირო ბიოლოგიური და სხვა საველე მონაცემებისა და ინფორმაციის მოპოვება;

კ) დაშვებული საქმიანობის ფარგლებში ნებისმიერი სახის მუდმივი ან დროებითი მოწყობილობებისა და ნიშნების სპეციალური უფლების საფუძველზე დადგმა;

ლ) გარემოსთან ჰარმონიაში მყოფი ვიზიტორთა ინფრასტრუქტურის (გზები, ბილიკები, გადასახედები, პიკნიკის ადგილები, „ბუნგალო-თავშესაფრები“, კემპინგის ადგილები, ვიზიტორთა და საინფორმაციო ცენტრები) მოწყობა;

მ) ხანძრებისგან დაცვის მიზნით, ტყის ჩახერგილობისგან გაწმენდა და გზებისა და ბილიკების გვერდითი საზღვრების გასწვრივ 20-მეტრიან ზოლში ჯგუფურად გამხმარი ზეხმელი ხეების მოჭრა და გატანა;

ნ) პირუტყვის სატრანზიტო გადარეკვა და ვიზიტორთა და საპატრულო ცხენების მოვება;

ო) ვიზიტორთა ზონის ბილიკებსა და გზებზე და მათ გასწვრივ 20 მ-ის ზოლზე ყველა იმ ღონისძიების ჩატარება, რომელიც უზრუნველყოფს ვიზიტორთა თავისუფალ და უსაფრთხო გადაადგილებას;

პ) ველური ხილის, კენკრისა და სოკოს იმ რაოდენობით შეგროვება, რაც ვიზიტორებს ეყოფათ პარკში ყოფნის პერიოდში;

ჟ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.



9. ვაშლოვანის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული ზონის ფართობი შეადგენს 3 ჰა-ს და მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	642420.4	4570741	7	642236.8	4570731	13	636523.7	4570116
2	642262.1	4570797	8	642396.5	4570673	14	628509.7	4564924
3	636511.2	4570252	9	636467.6	4570102	15	628589	4564810
4	636452.3	4570076	10	636418.6	4570225	16	628510.8	4564770
5	636550.7	4570101	11	636441.2	4570214	17	628433.6	4564889
6	636504.3	4570194	12	636494.3	4570229	18	628490.1	4564803

10. ვაშლოვანის ეროვნული პარკის ადმინისტრაციულ ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა ადმინისტრაციის გამართულად ფუნქციონირებისათვის და ვიზიტორებისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობისა და მოვლა-პატრონობისა.

11. ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის ფართობი შეადგენს 22539 ჰა-ს და მოიცავს ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც არაა განსაზღვრული ამ მუხლის მე-3, მე-5, მე-7 და მე-9 პუნქტებით.

12. ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

- ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება;
- ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მათ ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების კონსერვაცია, მოვლა და აღდგენა;
- გ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური სისტემის დაცვა და მონიტორინგი, ტყის ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა;
- დ) მანიპულაციური და არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;
- ე) საგანმანათლებლო საქმიანობა;
- ვ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;
- ზ) სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ავტო, მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;
- თ) მონიტორინგის სამუშაოთა განხორციელება;
- ი) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელება;
- კ) ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული დაშვება;
- ლ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა და სარგებლობა;
- მ) გადაადგილება ფეხითა და ცხენით, ნაწილობრივ სახეშეცვლილი ბუნების ტერიტორიაზე,



ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;

ნ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (სახანძრო პირსების მოწყობა, ხანძარსაშიში ტერიტორიების ჩახერგილობისაგან გაწმენდა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა და სხვა);

ო) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირადი მოხმარების მიზნით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა, სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობა (არსებული რესურსის გათვალისწინებით, გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 5 მ³-მდე საშუალო მერქანი), მოვება (ტყით დაუფარავ ფართობებზე), „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარება, 27³ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა;

პ) საფუტკრეების მოწყობა;

ჟ) სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა;

რ) ტრადიციულ ზამთრის სამოვრებზე მწყემსებისა და ტურისტებისთვის ტრადიციული თავშესაფრების, აგრეთვე შინაურ ცხოველთა სადგომების მოწყობა;

ს) გადასარეკი ტრასების მოწყობა მცირე ინფრასტრუქტურით (დასარწყულებელი, დასასვენებელი) და სხვა;

ტ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

მუხლი 7. ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლის მდებარეობა და დაშვებული საქმიანობა

1. ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლის ტერიტორია მოიცავს „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდების და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიას.

2. ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;

გ) ვიზიტორთა კონტროლირებადი გადაადგილება და მათი უსაფრთხოების დაცვა;

დ) სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციის პერსონალის ავტო, მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

ე) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება (სანიმუშო ფართობების მოწყობა და მუდმივი დაკვირვების წარმოება, ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციების მდგომარეობის შეფასება და დაკვირვება, აღრიცხვა/ინვენტარიზაცია და სხვა);

ვ) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;

ზ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (სახანძრო პირსების მოწყობა, ხანძარსაშიში ტერიტორიების ჩახერგილობისაგან გაწმენდა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა და



სხვა);

თ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება;

ი) ბუნების ძეგლის ბუნებრივ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და ადგილობრივი მცენარეებისა და ცხოველების დაცვის მიზნით, აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

კ) ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და დაცვა;

ლ) მდინარე ალაზანზე ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება.

მუხლი 8. ტახტი-თეფას ბუნების ძეგლის მდებარეობა და დაშვებული საქმიანობა

1. ტახტი-თეფას ბუნების ძეგლის ტერიტორია მოიცავს „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიას.

2. ტახტი-თეფას ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;

გ) ვიზიტორთა კონტროლირებადი გადაადგილება და მათი უსაფრთხოების დაცვა;

დ) სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციის პერსონალის ავტო, მოტო და საჭაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

ე) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;

ვ) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;

ზ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება;

თ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება;

ი) ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და დაცვა.

მუხლი 9. არწივის ხეობის ბუნების ძეგლის მდებარეობა და დაშვებული საქმიანობა

1. არწივის ხეობის ბუნების ძეგლის ტერიტორია მოიცავს „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიას.

2. არწივის ხეობის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;

გ) ვიზიტორთა კონტროლირებადი გადაადგილება და მათი უსაფრთხოების დაცვა;

დ) სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციის პერსონალის ავტო, მოტო და საჭაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

ე) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება (სანიმუშო ფართობების მოწყობა და მუდმივი დაკვირვების წარმოება, ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციების მდგომარეობის შეფასება და დაკვირვება,



აღრიცხვა/ინვენტარიზაცია და სხვა);

ვ) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;

ზ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (სახანძრო პირსების მოწყობა, ხანძარსაშიში ტერიტორიების ჩახერგილობისაგან გაწმენდა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა და სხვა);

თ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება;

ი) ბუნების ძეგლის ბუნებრივ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და ადგილობრივი მცენარეებისა და ცხოველების დაცვის მიზნით, აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

კ) ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და დაცვა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 21-ე და 22-ე დანართების მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტექნიკური რეგლამენტის – ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №13 დადგენილება და „ტექნიკური რეგლამენტის – ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №18 დადგენილება.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

